

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და სომხეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის ჯანდაცვის სფეროში თანამშრომლობის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა და სომხეთის რესპუბლიკის მთავრობა, შემდგომში მხარეებად წოდებულნი,

გამოდიან რა ეროვნული ინტერესებიდან და მათ შორის ჯანდაცვის სფეროში ჩამოყალიბებული ტრადიციული კავშირებიდან,

ითვალისწინებენ რა ორივე მხარის დაინტერესებას გრძელვადიან საფუძველზე ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობის შემდგომი განვითარებით, შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1

მხარეები ჯანდაცვის ეროვნული სისტემების შემდგომი სრულყოფის ინტერესებიდან გამომდინარე იღებენ თანამშრომლობის განვითარების ვალდებულებას.

მუხლი 2

მხარეები შეთანხმდნენ განავითარონ ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობა პრაქტიკული ჯანდაცვისა და სამედიცინო მეცნიერების შემდეგ სფეროებში:

- ჯანდაცვის ორგანიზაცია და ეკონომიკა;
- დაავადებათა პროფილაქტიკა;
- ორმხრივ ინტერესებში შემავალი ოპერატიული ინფორმაციის გაცვლა საგანგებო სიტუაციებისა და ეპიდემიოლოგიური ვითარების შესახებ;
- ზრდასრული და ბავშვთა ასაკის მოსახლეობისთვის სპეციალიზებული დახმარების გაწევა;
- სამეცნიერო და სამედიცინო კადრების მომზადება;
- ფარმაცევტული და სამედიცინო ტექნიკა.

მუხლი 3

მხარეები შეთანხმდნენ, რომ ერთობლივი საქმიანობის პრიორიტეტულ მიმართულებებს წარმოადგენს:

- სარეკონსტრუქციო-პლასტიკური ქირურგია;
- ტრანსპლანტოლოგია;
- ნევროლოგია და ნეიროქირურგია;
- შიდს-ის პრობლემა;
- ნარკოლოგია და ტოქსიკოლოგია;
- კურორტოლოგია;
- ალერგია და იმუნოლოგია;
- ონკოლოგია;
- მეანობა, გინეკოლოგია რეპროდუქტოლოგია;
- პროქტოლოგია;
- სპელეოკურნალობა;
- ოფთალმოლოგია (კონტაქტური ლინზები);
- ბავშვთა ურო-ნეფროლოგია;
- ბავშვთა რეაბილიტოლოგია ორტეზირებით.

ეს ჩამონათვალი შეზღუდვას არ ექვემდებარება და შესაძლებელია გაიზარდოს.

მუხლი 4

წინამდებარე შეთანხმების მე-2-3 მუხლებში გათვალისწინებული თანამშრომლობა განხორციელდება ერთობლივი სამეცნიერო კვლევებით, კონსულტაციებით, სპეციალისტებისა და სამედიცინო-ტექნიკური ინფორმაციის გაცვლით, მეთოდური რეკომენდაციების შემუშავებით, სიმპოზიუმების ორგანიზებით, მონოგრაფიების და სტატიების გამოქვეყნებით, თანამშრომლობის სხვა სახეებით, რომელთა თემატიკა და ვადა განსაზღვრული იქნება.

მუხლი 5

მხარეები თანხმდებიან ექსტრემალურ სიტუაციებში უზრუნველყონ ორმხრივი სასწრაფო სამკურნალო-საკონსულტაციო და სპეციალური მატერიალურ-ტექნიკური დახმარება.

მუხლი 6

მხარეები, ხელმძღვანელობენ რა ჰუმანიზმის პრინციპებით, იღებენ ვალდებულებას ხარჯების ურთიერთკომპენსაციის გარეშე აღმოუჩინონ სასწრაფო და გადაუდებელი სამედიცინო დახმარება სახელმწიფოთა მოქალაქეებს.

სპეციალიზებული სამედიცინო დახმარების გასაწევად ჯანდაცვის სამინისტროების მიმართულების საფუძველზე შეუფერხებლად მიიღონ სახელმწიფოთა მოქალაქეები, მათ მკურნალობაზე ანგარიშების შემდგომი წარდგენით. მოქალაქეებს, რომლებიც სამკურნალო დაწესებულებებში ჯანდაცვის სამინისტროების მიმართულების გარეშე ხვდებიან, სამკურნალო დახმარება გაეწევათ კომერციულ საფუძველზე.

ხელშემკვრელი მხარეების მოქალაქეებისთვის სამედიცინო დახმარების გაწევისთვის ურთიერთანგარიშსწორების პირობები და წესი რეგულირდება შეთანხმების ცალკე დანამატით.

მუხლი 7

მხარეები ერთობლივად ატარებენ უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლო დაწესებულებების სასწავლო გეგმებისა და პროგრამების ოპტიმიზაციის სამუშაოებს, ამყარებენ პირდაპირ კავშირებს, აგრეთვე სტუდენტთა და მოსწავლეთა გაცვლას ურთიერთხელსაყრელ პირობებზე ან კომერციულ საფუძველზე.

მუხლი 8

მხარეები იღებენ ვალდებულებას მოთხოვნათა შესაბამისად და შესაბამისი ანაზღაურებით უზრუნველყონ ქვესაუწყებო დაწესებულებებში სამედიცინო, პედაგოგიური და სამეცნიერო კადრების კვალიფიკაციის ამაღლება.

მუხლი 9

მხარეები პირდაპირ კავშირებს ამყარებენ სანიტარულ-ეპიდემიოლოგიურ სამსახურებს შორის, უზრუნველყოფენ აუცილებელი სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური სამუშაოების, აგრეთვე გარემოს დაცვითი ღონისძიებების ჩატარებას.

მუხლი 10

მხარეები არ დაუშვებენ სამედიცინო დახმარების ორგანიზებასთან, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმატივების შემოღებასა და შესრულების კონტროლთან დაკავშირებულ მოქმედებებს, რომლებმაც შეიძლება არასასიკეთო გავლენა მოახდინოს სხვა სახელმწიფოების მოქალაქეთა ჯანმრთელობაზე.

მუხლი 11

მხარეები შეთანხმდნენ თანამშრომლობაზე ფარმაციის, მედიკამენტებისა და სამედიცინო ტექნიკის მწარმოებელი ერთობლივი საწარმოების შექმნის, ფარმაცოლოგიური კვლევის ჩატარების, მათ მიერ და ერთობლივად წარმოებული პრეპარატებისა და სამედიცინო გამოცემების რეგისტრაციისა და რეალიზაციის სფეროში.

მუხლი 12

მხარეები შეთანხმდნენ ხელი შეუწყოთ სამედიცინო და სამეცნიერო კვლევების, სამედიცინო დახმარების, სამკურნალო ტურიზმისა და სამედიცინო ინდუსტრიის განვითარების სფეროში სომხური და ქართული საქმიანი წრეების მონაწილეობას და ერთობლივ საქმიანობას.

მუხლი 13

შეთანხმების რეალიზების მიზნით მხარეები დოკუმენტის ხელმოწერის დღიდან 1 თვის განმავლობაში ქმნიან საკოორდინაციო კომისიას თითოეული მხრიდან 2 ადამიანის შემადგენლობით.

მუხლი 14

წინამდებარე შეთანხმება მხარეთა გადაწყვეტილებით შეიძლება შეიცვალოს ან შეივსოს და გაფორმდეს როგორც შეთანხმების დამატება.

მუხლი 15

წინამდებარე შეთანხმება დადებულია 5 წლის ვადით. წინამდებარე შეთანხმების მოქმედების ვადა გრძელდება ყოველ შემდგომ წელიწადზე, თუ არც ერთი მხარე მისი მოქმედების ვადის გასვლამდე ერთი თვის განმავლობაში წერილობითი სახით არ აცნობებს მეორე მხარეს შეთანხმების ტექსტში რაიმე სახის ცვლილებების შეტანის აუცილებლობის შესახებ.

მუხლი 16

წინამდებარე შეთანხმება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან. დადებულია ქ. ერევანში 1993 წლის 19 მაისს ორ ეგზემპლარად, თითოეული სომხურ, ქართულ, რუსულ ენებზე, ამასთან ორივეს თანაბარი ძალა აქვს.

საქართველოს რესპუბლიკის
მთავრობის სახელით

სომხეთის რესპუბლიკის
მთავრობის სახელით

ხელმოწერილია

ხელმოწერილია

С О Г Л А Ш Е Н И Е

между Правительством Республики Грузия и
Правительством Республики Армения о со-
трудничестве в области здравоохранения

Правительство Республики Грузия и Правительство Респу-
блики Армения, именуемые в дальнейшем Сторонами,
исходя из национальных интересов и сложившихся между
ними традиционных связей в области здравоохранения,
учитывая заинтересованность обеих сторон в дальнейшем
развитии взаимовыгодного сотрудничества на долгосрочной основе
договорились о нижеследующем:

Статья I

Стороны обязуются развивать сотрудничество в интересах
дальнейшего совершенствования национальных систем здравоохра-
нения.

Статья 2

Стороны договорились развивать взаимовыгодное сотруд-
ничество в следующих областях практического здравоохранения
и медицинской науки:

- Организация и экономика здравоохранения;
- Профилактика заболеваний;
- Обмен оперативной информацией, представляющей взаимный
интерес, по чрезвычайным ситуациям и эпидемиологической
обстановки;
- Оказание специализированной помощи взрослому и детскому
населению;
- Подготовка научных и медицинских кадров;
- Фармацевтическая и медицинская техника.

Статья 3

Стороны договорились, что приоритетными направлениями совместной деятельности являются:

- Реконструктивно-пластическая хирургия;
- Трансплантология;
- Неврология и нейрохирургия;
- Проблема СПИДа;
- Наркология и токсикология;
- Курортология;
- Аллергия и иммунология;
- Онкология;
- Акушерство, гинекология репродуктология;
- Проктология;
- Спелеолечение;
- Офтальмология (контактные линзы);
- Детская уро-нефрология;
- Детская реабилитология с ортезированием.

Этот перечень не подлежит ограничению и может быть расширен.

Статья 4

Сотрудничество по статье 2-3 настоящего Соглашения будет осуществляться путем проведения совместных научных исследований, консультаций, обмена специалистами и медико-технической информацией, разработки методических рекомен-

даций, организации симпозиумов, публикации монографий и статей, других видов сотрудничества, тематика и время которых будут определены.

Статья 5

Стороны согласились обеспечивать в экстремальных ситуациях взаимную экстренную лечебно-консультативную и специальную материально-техническую помощь.

Статья 6

Стороны, руководствуясь принципами гуманизма, обязуются оказывать экстренную и неотложную медицинскую помощь гражданам государств без взаимных компенсаций затрат.

Беспрепятственно принимать для оказания специализированной медицинской помощи граждан государств, по направлениям Министерств здравоохранения, с последующим представлением счетов за их лечение. Гражданам, поступающим в лечебные учреждения без направления Министерств здравоохранения, лечебная помощь осуществляется на коммерческой основе.

Условия и порядок взаиморасчетов за оказание медицинской помощи гражданам договаривающихся сторон регулируются отдельным дополнением к Соглашению.

Статья 7

Стороны проводят совместную работу по оптимизации учебных

планов и программ высших и средних специальных учебных учреждений, налаживают прямые связи, а также обмен студентами и учащимися на взаимоприемлемых условиях или на коммерческой основе.

Статья 8.

Стороны берут обязательства обеспечить в подведомственных учреждениях повышение квалификации медицинских, педагогических и научных кадров в соответствии с требованиями и соответствующей оплатой.

Статья 9.

Стороны устанавливают прямые связи между санитарно-эпидемиологическими службами, обеспечивают проведение необходимых санитарно-эпидемиологических работ, а также мероприятий по охране окружающей среды.

Статья 10.

Стороны не будут допускать действий, связанных с организацией медицинской помощи, введением и контролем исполнения санитарно-гигиенических нормативов, которые могут оказать неблагоприятное влияние на здоровье граждан других государств.

Статья 11

Стороны согласились о сотрудничестве в области фармации, создании совместных предприятий по производству медикаментов и медицинской техники, проведении фармакологических исследований, регистрации и реализации своих и совместно производимых препаратов и медицинских изданий.

Статья I2

Стороны согласились способствовать участию и совместной работе армянских и грузинских деловых кругов в области медицинских и научных исследований, медицинской помощи, лечебного туризма и развития медицинской индустрии.

Статья I3

С целью реализации Соглашения Стороны создают координационную комиссию по 2 человека с каждой стороны в течении I месяца со дня подписания документа.

Статья I4

Настоящее Соглашение может быть изменено или дополнено по решению сторон и оформлено в виде дополнения к Соглашению.

Статья I5


Настоящее Соглашение заключено сроком на 5 лет. Срок действия настоящего Соглашения продлевается на каждый последующий год, если ни одна из сторон в течение месяца до истечения срока его действия не известит в письменной форме другую сторону о необходимости внесения каких-либо изменений в текст Соглашения.

Статья I6

Настоящее Соглашение вступает в силу со дня его подписания.

Совершено в г. Ереване 19 мая 1993 года в двух экземплярах, каждый на армянском, грузинском, русском языках, причем оба имеют одинаковую силу.

ЗА ПРАВИТЕЛЬСТВО
РЕСПУБЛИКИ ГРУЗИЯ



ЗА ПРАВИТЕЛЬСТВО
РЕСПУБЛИКИ АРМЕНИЯ

